



სამოქალაქო განათლების ტესტი

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რა ეწოდება პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, რომელიც მხარს უჭერს რელიგიური იერარქიის ძალაუფლებისა და გავლენის გაზრდას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში?

ა) პიეტიზმი;

ბ) სიონიზმი;

გ) სეკულარიზმი;

დ) კლერიკალიზმი.

(1) 2. რა ეწოდება სამართლის ერთ-ერთ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ეჭვმიტანილი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა სასამართლოს განაჩენით არ დადასტურდება?

ა) უდანაშაულობის იმპერატივი;

ბ) უდანაშაულობის პრეზუმფცია;

გ) დამნაშავეობის პრინციპი;

დ) დამნაშავეობის მაქსიმა.

(1) 3. კონფლიქტურ სიტუაციაში რომელი ქცევითი სტრატეგიის გამოყენება არის მიზანშეწონილი, თუ თქვენ მეტი ძალაუფლება გაქვთ, ვიდრე მეორე მხარეს, აგრეთვე შედეგი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და კრიტიკული სიტუაცია გადაწყვეტილების მიღებას სასწრაფოდ საჭიროებს?

ა) შეგუება;

ბ) არიდება;

გ) კომპრომისი;

დ) კონკურენცია.

(1) 4. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი უფლებამოსილება არ აქვს მინიჭებული პრემიერ-მინისტრს?

ა) ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს;

ბ) საქართველოს სახელით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

გ) განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

დ) დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

(1) 5. საკუთრების უფლების შესახებ დებულებათაგან რომელი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფოს, ასევე საქართველოს მოქალაქისა თუ უცხოელის საკუთრებაში, გამონაკლისი შემთხვევების გარეშე;

ბ) საჯარო ინტერესებისთვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

გ) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია შესაბამისი ანაზღაურებით;

დ) საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

(1) **6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვა შეუძლია:**

ა) მხოლოდ კერძო პირს ან სახელმწიფოს;

ბ) მხოლოდ კერძო პირს ან არასამთავრობო ორგანიზაციას;

გ) მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციას ან სახელმწიფოს;

დ) როგორც კერძო პირს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციას და სახელმწიფოს.

(1) **7. რომელი ცნებით აღინიშნება ჰეროდოტეს ნაშრომში „ისტორია“ გადმოცემული მოსაზრება?**

„ამრიგად, სხვადასხვა მტკიცებულებაზე დაყრდნობით ჩემთვის ცხადია, რომ კამბისესი შეშლილი იყო; სხვა შემთხვევაში ვერ გაბედავდა წმინდა წეს-ჩვეულებებისა და ადათების დაცინვას. რადგან ხალხს რომ ვინმემ არჩევანი შესთავაზოს, გამოარჩიეთ მთელ მსოფლიოში არსებული ადათ-წესებიდან საუკეთესო, ისინი, ყველას რომ გადახედავენ, საკუთარს აირჩევენ; მათ ასე სჯერათ, რომ საკუთარი ადათ-წესები ყველა დანარჩენზე აღმატებულია.“

ა) კულტურული იმპერიალიზმი;

ბ) კულტურული რელატივიზმი;

გ) ეთნოცენტრიზმი;

დ) ეთნოციდი.

(1) **8. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს მართებულად აპარტიდის შინაარსს და მის ისტორიულ გამოვლინებას?**

ა) რასობრივი ნიშნით გენოციდი, რომელიც გამოვლინდა ნაცისტურ გერმანიაში ებრაელი ხალხის მასიური განადგურებით;

ბ) რასობრივი ნიშნით სეგრეგაცია და დისკრიმინაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ აფრიკაში XX საუკუნის მეორე ნახევარში;

გ) რელიგიური ნიშნით სეგრეგაცია და დისკრიმინაცია, რომელსაც ჩადიდნენ შუა საუკუნეებში ქრისტიანი ჯვაროსნები;

დ) რელიგიური ნიშნით გენოციდი, რომელსაც 2013 წლიდან ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ განსხვავებული რელიგიური ჯგუფების მიმართ ჩადის.

(1) **9. განასხვავებენ საზოგადოებაში პოლიციის როლის შესახებ ლიბერალურ, კონსერვატიულ და რადიკალურ ხედვას. რომელი მსჯელობა გადმოსცემს მართებულად ლიბერალურ თვალსაზრისს?**

I. პოლიციას პოლიტიკურად ნეიტრალური სტატუსი აქვს. მისი ამოცანაა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. საზოგადოებრივი თანხმობისა და ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხის საფუძველზე იგი იცავს ხალხის პირად უსაფრთხოებას და არ გააჩნია სხვა რაიმე სახის პოლიტიკური ფუნქციები;

II. პოლიცია ხელს უწყობს სახელმწიფოს ძალაუფლების განმტკიცებას. იგი ძალისმიერი ინსტიტუტია და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია, რომ იმოქმედოს უკიდურესად მკვეთრად. ამდენად ის პოლიტიკური კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს;

III. პოლიციის საქმიანობაში მუდმივად არსებობს ტენდენცია, რომ ემსახუროს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, ხოლო მართლწესრიგის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ხელისუფლის ინტერესებთანაა თანხმობაში.

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ III;

დ) არცერთი.

(1) **10. რომელ მსჯელობაშია მოცემული სამოქალაქო თავისუფლების ცნების შინაარსი მართებულად?**


ა) საზოგადოების ქმედუნარიანობისთვის აუცილებელი მოქალაქის კერძო საარსებო არეალი, რომელიც ხელშეუვალია სახელმწიფოსა თუ ინდივიდთა ჯგუფების თვითნებური ჩარევისაგან. ამ სახის თავისუფლება მოიცავს „ნეგატიური უფლებების“ ფართო სპექტრს;

ბ) მოქალაქეთათვის კანონის ფარგლებში განსაზღვრული ქცევის სისტემა, რომელიც მუდმივად საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან მონიტორინგს. ამ სახის თავისუფლებაში იგულისხმება ე.წ. „პოზიტიური უფლებები“, რომელთა უზრუნველსაყოფად ხელისუფლება ვალდებულია გადადგას აქტიური ნაბიჯები;

გ) კონსტიტუციურად გამყარებული ყველა ის უფლება, რომლებიც ცალკეულ ინდივიდსა თუ მთლიანად საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, რომ იყოს თვითკმარი და თვითრეალიზებული. ამ სახის თავისუფლებაში ერთიანდება როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური უფლებები;

დ) სახელმწიფოს თითოეული მოქალაქისთვის მიცემული შესაძლებლობა, რომ ლეგიტიმურად განახორციელოს საკუთარი სურვილები და მოთხოვნილებები. ამ სახის თავისუფლებებში ძირითადად თავმოყრილია ე.წ. მეორე და მესამე თაობის უფლებები.

(1) 11. დიაგრამა ასახავს 2019 წელს საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის „კავკასიის ბარომეტრი“ მონაცემებს:



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) პოლიტიკური პარტიებისა და სასამართლო სისტემის მიმართ მოქალაქეთა ნდობის მაჩვენებელი ყოველ წელიწადს აღემატება უნდობლობის მაჩვენებელს;
- ბ) 2013 წელს მოქალაქეთა უნდობლობა სასამართლოს მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე პოლიტიკური პარტიების მიმართ;
- გ) სასამართლოს მიმართ მოქალაქეთა ნდობა 2012 წლიდან სტაბილურად იზრდება მაშინ, როდესაც პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა პროპორციულად მცირდება;
- დ) 2019 წელს პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობის მაჩვენებელი აღემატება ნდობისა და ნაწილობრივ ნდობის ჯამურ მაჩვენებელს.

(1) **12. დავალებაში მოცემულია 2018 წელს ჩატარებული კვლევის „საქართველოს დემოკრატიის შეფასება“ შედეგები:**

- გამოკითხულთა აზრით სამუშაო ადგილზე შრომის უფლების ყველაზე ხშირი დარღვევაა: არასათანადო ანაზღაურება (71%), შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა (64%), სამუშაო საათების ხანგრძლივობის ნორმების დარღვევა (57%).
- საქართველოს მოსახლეობის 17,8% მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილზე ხდება სექსუალური შევიწროება; თბილისში ასე მოსახლეობის 26,9% ფიქრობს, ხოლო რეგიონებში - 14%. საგულისხმოა, რომ ამ მოსაზრებას ეთანხმება ქალების 21,2%, ხოლო კაცების 13,7%.
- კითხვაზე - შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელია თუ არა, რომ სასამართლო დაგეხმარებათ - მოსახლეობის 41,2% პასუხობს, რომ უფრო არ არის მოსალოდნელი; დადებითი მოლოდინი აქვს 38,5%-ს (არ ვიცი/უარი პასუხზე: 20,3%).
- გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 3,4%-ია გაერთიანებული პროფესიულ კავშირში. პროფკავშირის წევრობის მაჩვენებელი თითქმის იდენტურია როგორც თბილისისა და რეგიონების, ისე ქალებისა და კაცების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ 18-34 წლის ახალგაზრდები უფრო ნაკლებად არიან პროფკავშირის წევრები (0.4%), ვიდრე 35-54 წლის ადამიანები (5.8%).

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

- ა) გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილებზე შრომითი უფლებები დაცულია, მაგრამ უკმაყოფილოა ანაზღაურებით;
- ბ) რეგიონებთან შედარებით დედაქალაქის მაცხოვრებელთა უფრო მეტი წილი თვლის, რომ დასაქმებულები სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებას განიცდიან, ამავე დროს გამოკითხულთა უფრო მეტი წილი სასამართლოსგან დახმარებას არ მოელოს;
- გ) გამოკითხული მოსახლეობის უდიდეს ნაწილში სამუშაო საათების ხანგრძლივობის გაზრდა არ იწვევს უკმაყოფილებას, შრომის უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში კი დახმარების მისაღებად მიმართავს სასამართლოს;
- დ) დასაქმებულთა უმრავლესობა, როგორც რეგიონში, ასევე დედაქალაქში, სამუშაო ადგილზე შექმნილი პრობლემების მოგვარების გზად ძლიერ პროფკავშირებს მიიჩნევს.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) 13. სქემაზე მოცემული პრობლემის გადაჭრის ეტაპები დაალაგეთ თანმიმდევრულად:

1. პრობლემის გადაჭრის გზების შერჩევა

2. შესაძლო ალტერნატივებისა და გადაჭრის გზების მოძიება

3. პრობლემის განსაზღვრა / ჩამოყალიბება

4. პრობლემის შესახებ ინფორმაციის, რესურსების მობილიზება

6. შედეგების შემოწმება / შეფასება

5. შერჩეული გზების განხორციელება

	4*				
--	----	--	--	--	--

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.


(1) **14. II სვეტში მოცემული საბაზრო კონკურენციის სახეები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ მახასიათებლებს.**

I. მახასიათებლები	II. საბაზრო კონკურენციის სახეები
<p>ა) მრავალი ეკონომიკური აგენტი ყიდის მსგავს, მაგრამ არა იდენტურ საქონელს. ბაზარზე საქმიანობს მრავალი გამყიდველი და ბაზარზე შესვლა ან ბაზრიდან გასვლა მარტივია. წარმოებული პროდუქცია დიფერენცირებულია.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სრულყოფილი კონკურენცია; 2. მონოპოლია; 3. ოლიგოპოლია; 4. მონოპოლისტური კონკურენცია.
<p>ბ) ბაზარზე მხოლოდ ერთი გამყიდველი ანუ მიმწოდებელია, რომელიც მოქმედებს, როგორც ფასის დამდგენი და არა როგორც ფასის მიმღები. ბაზარზე შესვლა და ბაზრიდან გასვლა უკიდურესად გართულებულია. წარმოებული პროდუქცია უნიკალურია.</p>	
<p>გ) ბაზარზე წარმოდგენილი არიან მცირე რაოდენობის მსხვილი მიმწოდებლები, რომლებიც აცნობიერებენ ურთიერთდამოკიდებულებას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას. შედეგად ყოველი მონაწილე ითვალისწინებს სხვა მონაწილეთა შესაძლო საპასუხო რეაქციას მის ნებისმიერ ქცევაზე. ბაზარზე შესვლა და ბაზრიდან გასვლა საკმაოდ გართულებულია. წარმოებული პროდუქცია შესაძლოა იყოს ერთგვაროვანი ან დიფერენცირებული.</p>	
<p>დ) ბაზარზე არსებობს იდენტური პროდუქტის მიმწოდებლებისა და მომხმარებლების განუსაზღვრელი რაოდენობა. საქონლის ფასი ზღვრული დანახარჯის ტოლია და ხდება ყველაზე დაბალი შესაძლო დანახარჯებით წარმოება. ბაზარზე შესვლის და ბაზრიდან გასვლის ბარიერები სრულიად მოხსნილია.</p>	

(2) 15. I სვეტში მოცემულ სახელმწიფოებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული მმართველობის ფორმები:

I. სახელმწიფოები	II. სახელმწიფო მმართველობის ფორმები
ა) პოლონეთი 	<ol style="list-style-type: none"> 1. აბსოლუტური მონარქია; 2. საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქია; 3. საპრეზიდენტო რესპუბლიკა; 4. ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა; 5. საპარლამენტო რესპუბლიკა.
ბ) თურქეთი 	
გ) ნორვეგია 	
დ) საუდის არაბეთი 	
ე) საფრანგეთი 	

(2) 16. რუკა ასახავს 2017 წელს სხვადასხვა სახელმწიფოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა პროცენტულ მონაცემებს. II სვეტში მოცემული პროცენტული დონეები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ ქვეყნებს:



მონაცემები
არ არის



I. ქვეყნები	II. პროცენტული დონე
<p>ა) ინდოეთი ბ) უკრაინა გ) ავღანეთი დ) მექსიკა ე) რუსეთი</p>	<p>1. ძალიან მაღალი 2. მაღალი 3. საშუალო 4. დაბალი 5. ძალიან დაბალი</p>

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) 17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იზოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

გლობალური გამოწვევები

დიდი სახელმწიფოებისა და იმპერიების ჩამოყალიბებასთან ერთად სხვადასხვა კულტურასა თუ პოლიტიკურ ერთეულს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა. ნელ-ნელა მსოფლიო კიდევ უფრო ურთიერთდაკავშირებული გახდა. ხალხთა დაახლოების გზაზე რამდენიმე გარდამტეხი ისტორიული მოვლენა შეგვიძლია გამოვყოთ. მაგალითად, XV-XVIII საუკუნეების გეოგრაფიული აღმოჩენები, კოლონიალიზმი, XVIII-XIX საუკუნეების ე.წ. ნეოლითური რევოლუცია.

პროცესმა, რომელმაც ქვეყანათა დაკავშირება და კულტურათა დაახლოება გამოიწვია, სამწუხაროდ, ბევრი კონფლიქტიც წარმოშვა, რის ერთგვარ კულმინაციასაც წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომი. ეს ომი იმდენად გამანადგურებელი იყო, რომ კაცობრიობამ ერთიან წესებზე შეთანხმების აუცილებლობა დაინახა. ამ წესთა ერთობლიობას საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი ეწოდება. იგი ომის წარმოების პროცესს ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს და განსაზღვრავს შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის პრინციპებს. მისი განმსაზღვრელი დოკუმენტი „პრალის კონვენციებია“. სხვადასხვა დროს შეთანხმებული წესები 1947 წელს ოთხი სხვადასხვა კონვენციის სახით ჩამოყალიბდა.

1948 წელს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. აღნიშნულ დოკუმენტში გადმოცემულია ის ძირითადი უფლებები, რომლებითაც უნდა სარგებლობდეს თითოეული ადამიანი მთელ მსოფლიოში, განურჩევლად რასის, ეროვნების, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა.

გლობალურ სამყაროში მსოფლიოს ქვეყნებს შორის მყარი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებები არსებობს, რასაც თავისებური რისკები ახლავს თან. მაგალითად, რომელიმე ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისი მარტივად შეიძლება დომინოს პრინციპით გავრცელდეს სხვა ქვეყანაზე და წარმოიქმნას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, როგორც ეს მოხდა 2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური კრიზისის დროს.

XXI საუკუნის გლობალურ საფრთხეებს შორისაა საერთაშორისო კონფლიქტები, ტერორიზმი, კიბერდანაშაული. კვლავ საფრთხედ რჩება პანდემია, რომელიც მარტივად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ამავდროულად, მის აღმოფხვრას მსოფლიოს ქვეყანათა თანამშრომლობა სჭირდება. სწორედ გლობალურ გამოწვევებზე საპასუხოდ შეიქმნა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია. მათ შორის, 1945 წელს დაარსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანოს, სამეურვეო საბჭოს პასუხისმგებლობაა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება.

მსოფლიო მშვიდობისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰელსინკის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. აღნიშნული სასამართლოს სადამფუძნებლო დოკუმენტია საერთაშორისო ხელშეკრულება – 1992 წლის რომის სტატუტი, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წელს. სწორედ ეს შესაძლებლობა გამოიყენა საქართველომ, როგორც დაზარალებულმა სახელმწიფომ და ამ სასამართლოში გაასაჩივრა საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის დროს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები.

საქართველო გლობალური სამყაროს ნაწილია და გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში: გაერო, ევროსაბჭო და სხვ. ამასთანავე, აქტიურად იღებს მონაწილეობას ნატოს ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ინსტრუქცია


დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას ჩაწერეთ დავალების პირობის ადეკვატური, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

(4) **18. სქემა არასრულად ასახავს საქართველოში ჩატარებულ საერთო-სახალხო გამოკითხვებს. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:**

ჩატარების წელი	გამოკითხვის ფორმა	კენჭისყრის საკითხი	მხარდაჭერა
18.1	რეფერენდუმი	საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა	99,08 %
2003 წელი	რეფერენდუმი	18.2	89,61 %
2008 წელი	18.3	პარლამენტის არჩევნების თარიღის განსაზღვრა (გაზაფხულზე ჩატარება)	79,17 %
2008 წელი	პლებისციტი	18.4	77 %

- (3) 19. მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს 2020 წლის მონაცემებს. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) **19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?**

- ა) კორუფციის აღქმის ინდექსი;
- ბ) პრესის თავისუფლების ხარისხი;
- გ) ალკოჰოლის მოხმარების ხარისხი;
- დ) მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა.

(1) **19.2 რას აღნიშნავს რუკაზე მუქი წითელი ფერი?**

(1) **19.3 იმსჯელეთ რუკაზე ასახული პრობლემის შესაძლო გამომწვევ მიზეზებზე.**

- (5) **20. დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**
- I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 20.2)*
 - II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას; *(დავალება 20.3)*
 - III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 20.1)*

(1) 20.1	<u>პროექტის მიზანი:</u> (ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).
(1) 20.2	<p><u>პროექტის I ამოცანა:</u> (განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა, I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).</p> <p><u>პროექტის II ამოცანა:</u> <i>სამოქალაქო ინიციატივების წახალისება სასკოლო თემში.</i></p>
(3) 20.3	<p><u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. კონფერენციის „სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქციები და მნიშვნელობა, მათი როლი ქვეყნის განვითარებაში“ მოწყობა მოსწავლეთა მონაწილეობით; 2. სადისკუსიო შეხვედრის ორგანიზება: ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევა მათი საქმიანობის გაცნობის მიზნით; 3. ლექციის ჩატარება სამოქალაქო სექტორის დაფინანსების შესაძლებლობებზე. <p><u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> (დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3.

(4) 21. გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



- (1) 21.1 რა მოვლენას აღწერს ილუსტრაცია?
- (1) 21.2 შეაფასეთ აღნიშნული მოვლენა ლიბერალურ-დემოკრატიული პერსპექტივიდან.
- (2) 21.3 იმსჯელეთ აღნიშნული მოვლენის ნეგატიურ შედეგებზე. იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რამდენად აქტუალურია აღნიშნული პრობლემა საქართველოსთვის.

(5) **22. გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

„სათბურებისა და სანერგეების წყალობით, შოტლანდიაში ძალიან კარგი ყურძნის გაზრდა და ძალიან კარგი ღვინის დაყენებაა შესაძლებელი, რაც დაახლოებით ოცდაათჯერ უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე უცხოეთიდან მსგავსი ხარისხის ღვინის ყიდვა. გონივრული იქნებოდა თუ არა იმ კანონის არსებობა, რომელიც აკრძალავდა ყველა უცხოური ღვინის იმპორტს მხოლოდ იმიტომ, რომ კლარე და ბურგუნდი [ღვინის სახეობები] შოტლანდიაში წარმოებულიყო?“

ადამ სმითი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, 1776 წელი.

- (1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალურობის შესახებ.
- (4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;
B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

(9) 23. გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

სატირული ჟურნალი „ტარტაროზი“ (1924-1929)




წარწერა:

- კაცო, რა ვაჟკაცობაა, კედლის გაზეთში გამოგჭიმეს, როგორც ხულიგანი!?
- ეგ რა! ვერა ხედავ, ორი კაცი ფეხს ქვეშ ამომიგდია და ვსცემ... აი ვაჟკაცობა!

წყაროებზე გადასვლა: [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

წყარო N2

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.2](#) [23.3-23.7](#)

წყარო N3

„ტვინში უცებ „საიდუმლო მაგიდამ“ გაუელვა. ასეთი მაგიდა ყველა დაწესებულებაში არსებობს. ის უშუალოდ გპუ-ს უკავშირდება. აქ გროვდება ჩანაწერები ყველა თანამშრომელზე, თვით პასუხისმგებელ კომუნისტებსაც არ ინდობენ. ყველამ იცის, რომ მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებენ, მის ნათქვამ ყოველ სიტყვას ყურს უგდებენ. ვინ გითვალთვალეს, ვინ გაყურადებს – ეს არვინ იცის. მეთვალყურე უჩინარია და ყველგან მყოფი, ამიტომ უფრო საშიში. სოციალისტური კოლექტივი საჭიროს ხდის ასეთ იდუმალ თვალს. ღმერთი კვდება – მის ადგილს ეს თვალი იკავებს. მისი გავლენა ატმოსფერულია. მხოლოდ შინაგანი, თითქმის მისტიური მიმიკით იძენს ზოგიერთი მეექვსე გრძნობას ამ ატმოსფეროში, რათა დაუსხლტეს თვალს. უჩვეულო ინსტინქტი იღვიძებს: საუბარი ისე მიჰყავთ, იქიდან გარკვეულს ვერაფერს გამოიტან; ქცევაც ასეთივე. ხშირია ორაზროვანი იუმორესკა – კარტების ასარევად.“

გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“, 1932 წელი.

წყარო N4

„თამაზი ეზოსკენ გაემართა. მზერა გაზეთის ბოლო ნომერს მოხვდა კედელზე. კედლის გაზეთი „საიდუმლო მაგიდის“ პარალელური მოვლენაა; ანონიმების ნაცვლად აქ ფსევდონიმები იღწვიან. გაზეთი აგროვებს ჩანაწერებს, ოღონდ გასაიდუმლოებულად კი არა, გამოსაქვეყნებლად. კედლის გაზეთი არის სოციალური ექსპიზიტია. აქ ყველაფერი შიშვლდება, ხან პირდაპირ, ხან შეფარვით, ქარაგმულად. ხშირია კარიკატურებიც. „საიდუმლო მაგიდა“, განაბული, თვალყურს ადევნებს ყველას, მალულად, უხილავად; კედლის გაზეთის მეშვეობით ერთმანეთს ადევნებენ თვალყურს, დაუფარავად, ხილულად. ორივე შემთხვევაში ინტიმურობა ისპობა. სამყაროს განღმერთება შინაგანი სამყაროს განადგურების ტოლფასია. „საიდუმლო მაგიდა“ და კედლის გაზეთი ამ სამყაროს ორი მხრიდან უვლიან, ძალიან მოხერხებულად! თამაზი შედგა, კედლის გაზეთის კითხვა დაიწყო. ერთგან სათაური: „რჩევები“. აქ ერთი წინადადება შეხვდა: „მარადიული სიყვარული და მსგავსი რომანტიული სისულელეები მთვარეულთათვის დაგვილოცნია. პროლეტარიატს არ სჭირდება მთვარეულები. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ამას ლიტერატურულ განყოფილებაშიც შეიგნებდნენ“. თამაზს საფეთქლებში სისხლი მოაწვა: მიხვდა, რომ ავტორი მას გულისხმობდა – ერთი კვირის წინ სწორედ ამ თემაზე ესაუბრებოდა ერთ ნაცნობს... კერძო საუბარში... მაგრამ ახლა ხომ აღარაფერი არსებობდა კერძო.“

გრიგოლ რობაქიძე, „ჩაკლული სული“, 1932 წელი.

წყარო N5

„სრულყოფილი დისციპლინარული აპარატი ყოველთვის მზერის ერთი მიპყრობით უნდა ხედავდეს ყველაფერს. ცენტრალური წერტილი უნდა იყოს ყოვლისმომცველი სინათლის წყაროც, და ყოველივე იმის თანხვედრის ადგილიც, რომლის ცოდნაც აუცილებელია: სრულყოფილი თვალი, რომელსაც არაფერი გამოეპარება და ცენტრი, რომლის მიმართაც ყველას მზერა იქნება მიპყრობილი. [...] მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველობა ინდივიდებზე დგას, ის ურთიერთობების ქსელის მიხედვით ფუნქციონირებს - ზევიდან ქვევით, მაგრამ ასევე, რამდენადმე, ქვემოდან ზემოთ და ჰორიზონტალურად. ეს ქსელი ინარჩუნებს მთელის ერთიანობას და ყოველმხრივ განმსჭვალავს მას იმ ძალაუფლების ეფექტებით, რომლებიც მომდინარეობს ერთმანეთისგან: ზედამხედველებისგან, ასევე მუდმივად ზედამხედველობის ქვეშ მყოფთაგან. დისციპლინის იერარქიზებულ ზედამხედველობაში ძალაუფლება არ ჰგავს ნივთს, რომელსაც შეგიძლია დაეუფლო, ან ქონებას, რომელიც შეგიძლია გადასცე. ის ფუნქციონირებს, როგორც მექანიზმი. და, თუმცა კი სიმართლეა, რომ მისი პირამიდული ორგანიზაცია „მეთაურის“ არსებობას გულისხმობს, სწორედ ეს აპარატია, როგორც მთელი, რომელიც აწარმოებს „ძალაუფლებას“ და ადგილს უჩენს ინდივიდებს ამ პერმანენტულ და უწყვეტ ველში.“

მიშელ ფუკო, „ზედამხედველობა და დასჯა“, 1975 წელი.

წყარო N6

„[ამ სისტემაში] ექვმიტანილთა კატეგორიის ქვეშ მთელი მოსახლეობა მოიაზრება. ყოველი მოსაზრება, რომელიც ოფიციალურად აღიარებულსა და მუდამ ცვალებად ძირითად ხაზს გადაუხვევს, უკვე ექვმიტანილი ხდება, მნიშვნელობა არ აქვს ადამიანის ქმედების რომელ სფეროში ვლინდება ის. მხოლოდ მათი ფიქრის უნარის გამო, ადამიანები ავტომატურად ექვმიტანილები არიან და ამ ექვის თავიდან აცილება სანიმუშო მოქმედებით შეუძლებელია, რამდენადაც ადამიანის ფიქრის უნარი საკუთარი აზრის შეცვლის უნარიცაა. [...] ერთმანეთის მიმართ ექვიანობა განმსჭვალავს ყველა სოციალურ ურთიერთობას და ქმნის ყველგან შემღწევ ატმოსფეროს საიდუმლო პოლიციის ჩარევის გარეშეც.“

პროვოკაცია, რაც ოდესღაც საიდუმლო პოლიციის საქმიანობა იყო, მეზობელთან ურთიერთობის მეთოდი ხდება, რომელსაც, ნებით თუ უნებლიედ, ყველა იძულებულია რომ მისდიოს. თავისებურად თითოეული ადამიანი ყველა სხვა დანარჩენის მიმართ „აგენტი პროვოკატორია“; რამდენადაც ნებისმიერი დაუძახებს საკუთარ თავს „აგენტ პროვოკატორს“, თუკი „სახიფათო აზრების“ გაცვლის ჩვეულებრივი მეგობრული საუბარი ხელისუფლების ყურადღებას მიიქცევს.“

ჰანა არენდტი, 1906 - 1975 წლები.

(1) **23.1** ჰანა არენდტის მიხედვით, მის ტექსტში აღწერილ პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოსათვის ნებისმიერი მოქალაქე ექვემდებარება, რამდენადაც:

- ა) ყველას არ აქვს სისტემის სიკეთეების გააზრების უნარი;
- ბ) ყოველი ადამიანი სისტემის მიერ ოფიციალურად აღიარებულ აზრს ექვემდებარება;
- გ) სანიმუშო და „აგენტ პროვოკატორ“ მოქალაქეთა გამიჯვნის საუკეთესო საშუალებაა;
- დ) თავად აზროვნების უნარი აქცევს ადამიანს სისტემისათვის არასანდო ელემენტად.

(1) **23.2 მიშელ ფუკოს აღწერის მიხედვით, ზედამხედველობის დისციპლინური აპარატი არის:**

ა) ურთიერთობების ქსელის მაწარმოებელი მექანიზმი, რომლის უკანაც დგას ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მებრძოლი ინდივიდების ერთობა, ხოლო იერარქიული პირამიდის სათავეში ყოვლისმცოდნე მეთაურია;

ბ) ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად მოქმედი ქსელი, რომელშიც დისციპლინარული აპარატი, როგორც მექანიზმი, აწარმოებს ძალაუფლებას, ხოლო ინდივიდი ამ აპარატის მუდმივი მხედველობის არეშია განთავსებული;

გ) სრულყოფილი ზედამხედველობის იარაღი, რომლის ფუნქციონირებასაც საფრთხეს უქმნის იერარქიული პირამიდის სათავეში ძლიერი მმართველის მოსვლა, ხოლო ცალკეული ინდივიდები სისტემის პერმანენტულ მდგრადობას უწყობენ ხელს;

დ) ძალაუფლების შენარჩუნებისათვის აუცილებელი დეცენტრალიზებული უწყვეტი ველი, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ერთიანობა თავისუფალი ინდივიდებისა, რომელთა მზერა მიპყრობილია მთელის შენარჩუნებისაკენ.

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალეებზე გადასვლა: [23.1](#) [23.3-23.7](#)

- (1) 23.3 წყაროების გამოყენებით იმსჯელეთ, რა ფუნქციას ასრულებდა „კედლის გაზეთი“.
- (2) 23.4 იმსჯელეთ, რა პრობლემაზე საუბრობს ჰანა არენდტი N6 წყაროში. იმსჯელეთ, რა აზრობრივი კავშირია N4 და N6 წყაროებს შორის.
- (2) 23.5 დაასახელეთ პოლიტიკური სისტემა, რომელიც აღწერილია წყაროებში. რატომ იძენს ასეთ სისტემაში მოქალაქეთა ქცევა ორაზროვნებას?
- (1) 23.6 წყაროების ანალიზის საფუძველზე იმსჯელეთ, რა საფრთხეებს უქმნის თანამედროვე ადამიანს N2 წყაროში ასახული პრობლემა.
- (1) 23.7 იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია N2 წყაროში წამოჭრილი პრობლემა თანამედროვე საქართველოში და რა სამართლებრივი მექანიზმებით არის შესაძლებელი მასთან გამკლავება.

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [23.1](#) [23.2](#)